თეა გოდოლაძის საქმე

სამართლებრივი შეფასება

2025



საფარი
SAPARI

სარჩევი

შესავალი **3**

ოჯახში დანაშაულად კვალიფიკაცია **3**

ფსიქოლოგიური ძალადობა **7**

გენდერული ნიშნით ძალადობა **8**

შესავალი

2022 წლის გაზაფხულზე თეა გოდოლაძეზე ოჯახში ძალადობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა მისი ყოფილი პარტნიორის, თ.შ-ის მიმართ. პროკურატურა თ.შ-ს ოჯახური ძალადობის ჩადენას ედავებოდა გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომ - სსკ) 126[1] მუხლის 1-ელი ნაწილით.[1] წარდგენილი ბრალდება მოიცავდა ფიზიკური ძალადობით გამოხატული ოჯახური ძალადობის სამ ეპიზოდს და, ასევე, მსხვერპლზე განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ძალადობას.

2022 წლის წლის 7 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ საქმეზე განაჩენი გამოიტანა და ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო ოჯახში დანაშაულის ჩადენაში წარდგენილი ბრალდების ოთხივე ეპიზოდში. სასამართლომ 2022 წლის 8 აპრილის ეპიზოდში თ.შ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება სსკ-ის 126[1] მუხლის 1-ელი ნაწილიდან სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე გადააკვალიფიცირა (ძალადობა) და ბრალდებული დამნაშავედ ცნო თეა გოდოლაძეზე ძალადობაში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება.[2]

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება რამდენიმე საყურადღებო საკითხს შეიცავს, რომელთა ანალიზიც ქვემოთ არის მოცემული.

ოჯახში დანაშაულად კვალიფიკაცია

განსახილველ საქმეში ერთ-ერთი საკვანძო საკითხი სასამართლოს მიერ ოჯახში დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის სრულად გამორიცხვას უკავშირდება. მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დაასკვნა, რომ თეა გოდოლაძისა და თ.შ-ის ურთიერთობა სსკ-ის 11[1] მუხლის მიზნებიდან გამომდინარე არ წარმოადგენდა ოჯახურ კავშირს (არარეგისტრირებულ ქორწინებას)[3], რაც აუცილებელი ელემენტია ოჯახში დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის დასადგენად.

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე მიიჩნია, რომ უტყუარად არ დადასტურდა თეა გოდოლაძისა და თ.შ-ის ოჯახური თანაცხოვრება და ერთიანი საოჯახო მეურნეობა.

ვინაიდან არარეგისტრირებული ქორწინება ნორმატიულად განმარტებული არ არის, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ მისი პოზიციის გასამყარებლად უზენაესი სასამართლოს

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126[1]-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=267

[2] იქვე, 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

[3] იქვე, 11[1] მუხლის შენიშვნა, პუნქტი 1.

არსებული განმარტება მოიშველია, რომელიც ოჯახში დანაშაულთან მიმართებით არის გაკეთებული. როგორც საკასაციო სასამართლომ განმარტა, დანაშაულებრივი ქმედების ოჯახში დანაშაულად კვალიფიკაციისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დადგინდეს, ორ პირს შორის არსებული ურთიერთობა იყო თუ არა ისეთი, რაც დამახასიათებელია ოჯახური თანაცხოვრებისთვის და ეწეოდნენ თუ არა ისინი ერთიან საოჯახო მეურნეობას. საკასაციო სასამართლოს მიდგომით, ასეთ შემთხვევაში, დადგენილი უნდა იქნას პირთა მუდმივად თანაცხოვრება ერთ საცხოვრებელ სახლში და მონაწილეობის მიღება საოჯახო საქმეებში.[4]

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ თეა გოდოლაძესა და თ.შ-ს შორის ურთიერთობა არ წარმოადგენდა ორ ადამიანს შორის ოჯახურ თანაცხოვრებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ოჯახში ძალადობა განმარტებულია როგორც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. მე-11[1] მუხლის თანახმად, კოდექსის მიზნებისთვის ოჯახის წევრად ითვლებიან, მათ შორის, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. ამგვარად, არსებული ნორმატიული რეგულირება ცალსახად ვრცელდება როგორც რეგისტრირებულ, ისე არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებზე, აგრეთვე მათზეც, ვინც ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწევიან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით შემოთავაზებული ოჯახური ძალადობის დანაშაული ერთმნიშვნელოვნად არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც, შესაძლოა, მუდმივად ერთად არ ცხოვრობენ, თუმცა ერთმანეთთან ახლო პირადი ურთიერთობა აკავშირებთ და ეს ურთიერთობა, ხშირ შემთხვევაში, ემოციური და ფიზიკური სიახლოვით ხასიათდება. მაშასადამე, არსებული კანონმდებლობით, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი შესაძლოა სამართლებრივი დაცვის გარეშე დარჩეს, რაც აშკარად მიუთითებს საკანონმდებლო ხარვეზზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესმა სასამართლომ, ერთიანი საოჯახო მეურნეობა, რომელიც კანონის თანახმად, ოჯახური კავშირის დამოუკიდებელი ელემენტია, არარეგისტრირებული ქორწინების აუცილებელ კომპონენტადაც წარმოადგინა და ამ უკანასკნელის არ არსებობის შემთხვევაში ოჯახური კავშირის არარეგისტრირებული ქორწინების სახით არსებობა გამორიცხა. ამგვარი მიდგომა, რომელიც მოცემულ საქმეში საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამაც გაიზიარა, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით დამატებით ბარიერს უქმნის ოჯახში ძალადობის იმ მსხვერპლებს, რომელთაც პარტნიორთან საოჯახო მეურნეობა არ აკავშირებთ.

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №1360აპ-23, 22 მარტი, 2024, პარაგრაფი 5.8.

ოჯახში ძალადობა ან ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა გენდერული ნიშნით ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია[5] და შესაბამისად კანონმდებლის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ოჯახური ძალადობის შესახებ კანონმდებლობა ახლო პირადი ურთიერთობის ფარგლებში კონტროლის, შევიწროებისა და ძალადობის პრაქტიკის აღკვეთას უნდა ემსახურებოდეს, მიუხედავად იმისა, როგორი იურიდიული სტატუსი აქვს ამ ურთიერთობას და იზიარებენ თუ არა საცხოვრებელს ურთიერთობის მონაწილეები. ოჯახური დანაშაულის ინტიმურ პარტნიორებზე გაუვრცელებლობა ძალადობის ცალკეული მსხვერპლებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას აფერხებს და ამასთანავე, არ ითვალისწინებს თანამედროვე ურთიერთობების დინამიკას, მიუხედავადა იმისა, რომ დღესდღეობით, რომანტიკული პარტნიორობა შესაძლოა არ მოიცავდეს ფორმალურ ქორწინებას ან საერთო მეურნეობას. ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ ოჯახური ძალადობა საკანონმდებლო დონეზე იმგვარად განიმარტოს, რომ პარტნიორობის ყველა სახე მოიცვას.

ოჯახური ძალადობის ფარგლების შეზღუდვა ასევე წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) ოჯახში ძალადობას საკმაოდ ფართოდ განმარტავს. კონვენციის თანახმად „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.[6] საქართველომ, რომელმაც აღნიშნულ კონვენციას 2017 წელს მოაწერა ხელი, აიღო ვალდებულება, რომ მიიღებდა ყველა საჭირო საკანონმდებლო ზომას კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის აქტების აღკვეთის, გამოძიების, დასჯისა და კომპენსირების მიზნით.[7] ამ ვალდებულების შესასრულებლად კი აუცილებელია, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში ოჯახური ძალადობის ფარგლები გაფართოვდეს და მან როგორც რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და ის პირები მოიაზროს, რომლებიც საერთო საოჯახო მეურნეობას ეწევიან, აგრეთვე სხვა ინტიმური პარტნიორებიც. აღსანიშნავია, რომ ოჯახური ძალადობის დეფინიციის გაფართოების რეკომენდაცია გასცა ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე

---

[5] World Health Organization, *Violence Against Women,* available at https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women#:~:text=Estimates%20published%20by%20WHO%20indicate,violence%20is%20intimate%20partner%20violence

[6] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

[7] იხ. სქოლიო 6, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

ექსპერტთა ჯგუფმაც. საქართველოს მიერ სტამბულის კონვენციის შესრულების შესახებ საბაზისო ანგარიშში ექსპერტთა ჯგუფმა საქართველოს ხელისუფლებას ოჯახური ძალადობის დანაშაულის იმგვარად გაფართოებისკენ მოუწოდა, რომ ის დაუქორწინებელ პარტნიორებზეც გავრცელდეს, რომლებიც არ იზიარებენ ან არ იზიარებდნენ საცხოვრებელს.[8]

ცხადია, საკანონმდებლო დონეზე ხარვეზის აღმოფხვრა სასამართლოს პრეროგატივა არ არის, თუმცა, განსახილველ საქმეში რელევანტურია საკითხი, შეეძლო თუ არა სასამართლოს სსკ-ის 126[1] მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობა კანონის მიზნიდან გამომდინარე განემარტა, არსებული საკანონმდებლო ვაკუუმი სასამართლო პრაქტიკით შეევსო და ერთმნიშვნელოვნად არ გამოერიცხა თ.შ-ის პასუხისმგებლობა ოჯახში დანაშაულისთვის.

ოჯახში ძალადობის ცალკე დანაშაულად გამოყოფის მთავარი მიზანია ინდივიდების დაცვა ახლო, პირად, ზოგიერთ შემთხვევაში, დამოკიდებულ ურთიერთობაში, რომლის მონაწილეთაც ერთმანეთის მიმართ ფსიქო-ემოციური კავშირი აქვთ. ინტიმური პარტნიორობა, მათ შორის, ფორმალური ქორწინებისა და თანაცხოვრების მიღმა, სწორედ მსგავსი მახასიათებლების მატარებელია, რის გამოც ოჯახში ძალადობის ცალკე დანაშაულად გამოყოფის მიზანი, მათ შორის, ინტიმური პარტნიორების დაცვაა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში ეს მიზანი კონვენციურ დონეზეა აღიარებული და როგორც უკვე აღინიშნა, სტამბოლის კონვენცია ოჯახურ ძალადობას განმარტავს ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ თუ ეკონომიკურ ძალადობას, მათ შორის, ყოფილ ან ამჟამინდელ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან საცხოვრებელს იზიარებს თუ არა.[9]

ამგვარად, თუკი სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია კანონის ტელეოლოგიურ განმარტებას მიმართავდა და მის არგუმენტაციას ამ ხაზით ააგებდა, დაადგენდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის ოჯახში ძალადობა ისე უნდა განიმარტოს, რომ ინტიმური პარტნიორიც მოიცვას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო მონისტური სახელმწიფოა, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულება ქვეყნის კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.[10] ამასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.[11] ამგვარად, არსებული რეგულირებით სტამბოლის კონვენციას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ეროვნული ნორმატიული აქტის მიმართ და სასამართლოს შეეძლო

---

[8] Group of Experts on Action againts Violence againts Women and Domestic Violence (GREVIO), *Baseline Evaluation Report on Georgia*, October 2022, p. 12, available at: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa

[9] იხ. სქოლიო 6.

[10] საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, მუხლი 6.1, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33442?publication=17.

[11] იქვე, მუხლი 6.2.

ოჯახური ძალადობის კონვენციური განმარტებისთვის უპირატესობა მიენიჭებინა და ეროვნული კანონმდებლობაც ისე განემარტა, რომ თანხვედრაში ყოფილიყო სტამბოლის კონვენციის მიზნებთან და მის სულისკვეთებასთან.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ კანონის ტელეოლოგიურ განმარტებას არ მიმართა და არც საერთაშორისო ხელშეკრულების უპირატესობა გაითვალისწინა. ამგვარად, კოლეგიამ უარი თქვა საკანონმდებლო ხარვეზი სასამართლო პრაქტიკით აღმოეფხვრა და უკეთესი სამართლებრივი დაცვა შეეთავაზებინა პარტნიორობაში მყოფი ძალადობის მსხვერპლებისთვის. სასამართლომ არც არსებულ სოციალური რეალობა და თანამედროვე ურთიერთობების დინამიკა გაითვალისწინა და ამასთან, გაუშვა შანსი შეექმნა ოჯახური დანაშაულის ინტიმურ პარტნიორზე გავრცელების პრეცედენტი.

ფსიქოლოგიური ძალადობა

განსახილველ გადაწყვეტილებაში ასევე საყურადღებოა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ სისტემატური შეურაცხყოფისა და დამცირების ეპიზოდის შეფასება. როგორც სასამართლომ განმარტა, იმისათვის, რომ სსკ-ის 126[1] მუხლით გათვალისწინებული სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება დასჯადად იქნეს მიჩნეული, სავალდებულოა ერთდროულად ორი კომპონენტის არსებობა: ერთი - ის ჩადენილი უნდა იყოს ოჯახში და მეორე - უნდა გააჩნდეს სისტემატური ხასიათი. გარდა იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ვერ დაინახა მიზეზობრივი კავშირი სისტემატურ შეურაცხყოფასა და ფსიქოლოგიურ ტანჯვას შორის, ამ ეპიზოდში თ.შ-ის პასუხისმგებლობის დადგენისთვის დამაბრკოლებელი აღმოჩნდა ის გარემოებაც, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად სასამართლომ ვერ დაინახა დანაშაულის მეორე სავალდებულო ელემენტი - ოჯახური კავშირი არარეგისტრირებული ქორწინების ან ერთიანი საოჯახო მეურნეობის სახით.

ზემოაღნიშნულ ეპიზოდთან მიმართებით სასამართლოს მიერ შემოთავაზებული მსჯელობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ოჯახური დანაშაულის ვიწროდ განმარტებამ შესაძლოა სრულიად დაუცველი დატოვოს მსხვერპლი, რომელსაც ფორმალური ქორწინება ან საერთო მეურნეობა არ აკავშირებს ინტიმურ პარტნიორთან. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში, რადგან სისხლის სამართლის კოდექსი ფსიქოლოგიური ძალადობისთვის პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში აწესებს, თუ ის ოჯახის წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ არის ჩადენილი. ამგვარად, მოცემული შემთხვევა კიდევ ერთხელ მიუთითებს საკანონმდებლო ხარვეზზე და მისი აღმოფხვრის აუცილებლობაზე, მათ შორის, სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით, კანონის მიზნიდან გამომდინარე განმარტების გზით.

გენდერული ნიშნით ძალადობა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება კიდევ ერთ მნიშვნელოვან აქცენტს შეიცავს, რაც დანაშაულის ჩადენისას გენდერული დისკრიმინაციის მოტივის დადგენას უკავშირდება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის.[12] განსახილველ საქმეში სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია, რომ თ.შ, ინტიმურ პარტნიორ თეა გოდოლაძეს გენდერული ნიშნით ავიწროებდა. სასამართლომ იმსჯელა, რომ საქმეში დასტურდებოდა ბრალდებულის გენდერულად შეუწყნარებელი დამოკიდებულება მსხვერპლის მიმართ ზოგადად, თუმცა გადაწყვიტა, რომ უშუალოდ ფიზიკური ძალადობის მომენტში ბრალდებულის ამ დამოკიდებულებას მსხვერპლისადმი გავლენა არ მოუხდენია მის ქცევაზე, რის გამოც გენდერული დისკრიმინაციის ბრალდება განაჩენით ამორიცხა.

იმისთვის, რათა დანაშაული გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილად იქნეს მიჩნეული, მოძალადის დანაშაულებრივი ქმედება გენდერული სტერეოტიპების გავლენით უნდა იყოს განპირობებული.[13] თავის მხრივ, გენდერული სტერეოტიპი ქალისა და მამაკაცის მსგავსი ქცევის რადიკალურად განსხვავებულ შეფასებას და მათი მსგავსი ქცევის არათანაზომიერ გაკიცხვას მოიაზრებს.[14] მოცემულ შემთხვევაში, თეა გოდოლაძისა და თ.შ-ის ურთიერთობას ერთგვარ ხაზად გასდევს გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, რაც ფსიქოლოგიურ ძალადობაში გამოიხატებოდა და რის შედეგადაც დაზარალებული განიცდიდა ტანჯვას.[15] ყოველივე ეს კი განპირობებული იყო სწორედ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებით ქალის როლის მიმართ, რაც სასამართლომაც დაადასტურა.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დადასტურებულად მიიჩნია თ.შ-ის მხრიდან თეა გოდოლაძის გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, მან ერთმნიშვნელოვნად გამორიცხა, ფიზიკური ძალადობის გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა, რადგან ჩათვალა, რომ ძალადობის მიზეზი ურთიერთობის პერსპექტივის განსხვავებულად დანახვა იყო. იმ პირობებში, როდესაც

---

[12] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 53[1]-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

[13] Natia Merebashvili, *Gender-based Domestc Violence against Women*, Journal of Law, (2), 309–322 (Geo) 271. https://doi.org/10.60131/jlaw.2.2023.7709, pp. 276-278.

[14] აღნიშნულის შესახებ ვრცლად იხილეთ პრაქტიკულ სახელმძღვანელოში მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/training-manual-georgia-chapter-geo-pdf/16808e9a41, გვ. 40-43.

[15] გაეროს ქალთა კომიტეტის #19 გენერალური რეკომენდაციის თანახმად, გენდერული ნიშნით ძალადობა, როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, შეიძლება გამოიხატებოდეს, მათ შორის, ფსიქოლოგიურ ძალადობაში, რომელიც მსხვერპლის ტანჯვას იწვევს.

სასამართლო სარწმუნოდ მიიჩნევს, რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია წყვილის ურთიერთობის დინამიკის ნაწილი იყო, ფიზიკური ძალადობის ეპიზოდში თ.შ-ის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას გენდერული ელემენტის ერთმნიშვნელოვნად გამორიცხა ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს.

გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაასკვნა, რომ ფიზიკური ძალადობის ეპიზოდში გენდერული შეუწყნარებლობა არ ყოფილა დანაშაულის მოტივი, თუმცა ეს ისე გააკეთა, რომ კონკრეტული ეპიზოდი წყვილს შორის ურთიერთობის დინამიკის კონტექსტში არ განუხილავს და არ უმსჯელია, შეეძლო თუ არა ურთიერთობაში გენდერული დისკრიმინაციის ელემენტის განგრძობადად არსებობას გავლენა მოეხდინა მოცემულ ეპიზოდში თეა გოდოლაძის მიმართ ფიზიკურ ძალადობაზე. ძალადობის ეპიზოდის სრულყოფილად შესაფასებლად, უკეთესი იქნებოდა სასამართლოს ჰოლისტური მიდგომა გამოეყენებინა და ინციდენტი ფართო კონტექსტში, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით შეეფასებინა. ინტიმურ პარტნიორზე ძალადობა, როგორც წესი, არ წარმოადგენს განყენებულ შემთხვევას და ის კონტროლისა და შევიწროების უფრო ფართო, ურთიერთდაკავშირებული პატერნის ნაწილია.[16] განსახილველ შემთხვევაში, ფიზიკური ძალადობა შეიძლება ჩაითვალოს როგორც ამ პატერნის ნაწილი, იმ შემთხვევაშიც კი თუ კონკრეტულ ეპიზოდში ფიზიკური ძალადობის წინმსწრები კომუნიკაცია გენდერულად შეუწყნარებელ ფრაზებს არ შეიცავდა.

ამგვარად, სასურველი იქნებოდა სასამართლოს ფიზიკური ძალადობის შეფასებისას გენდერული ელემენტი ერთმნიშვნელოვნად არ გამოერიცხა, ვინაიდან მსგავს შემთხვევებში ფიზიკური ძალადობის განცალკევება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის წინარე კონტექსტისგან ვერ უზრუნველყოფს საკითხის სრულფასოვნად შეფასებას და სათანადო პასუხისმგებლობის დადგენას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ბრალდებისა და დაცვის მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. სააპელაციო საჩივრით სახელმწიფო ბრალმდებელმა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილებების შეტანა, თ.შ-ის დამნაშავედ ცნობა ბრალად წარდგენილ ყველა ეპიზოდში და მისთვის კანონიერი და სასჯელის მიზნების რელევანტური სასჯელის განსაზღვრა მოითხოვა.

წარდგენილი სააპელაციო საჩივრით დაცვის მხარემ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და თ.შ-ის მიმართ სრულად გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განსახილველ საქმეზე განაჩენი 2024 წლის 18 დეკემბერს გამოიტანა. სააპელაციო პალატამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში ცვლილება შეიტანა და თ.შ უდანაშაულოდ ცნო წარდგენილი ბრალდების ოთხივე ეპიზოდში.

---

[16] იხ. ლიზ კელის „ძალადობის განგრძობათობის თეორია“ (continuum of violence), L Kelly, Surviving Sexual Violence (Polity Press 1988).

2022 წლის ფიზიკური ძალადობის ეპიზოდთან მიმართებით, სააპელაციო პალატამ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად ვერ დაადგინა, რომ დაზიანებები, რომლებიც თეა გოდოლაძეს მსჯავრდებულისგან ჰქონდა მიყენებული, ამ უკანასკნელმა მას განზრახ მიაყენა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა აღელვებული პირის მხრიდან **ემოციურ ფონზე განხორციელებული ქმედების მოგერიების მიზნით ცალკეულ აგრესიულ ქმედებებს,** რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით ვერ აღწევს დანაშაულის ხარისხს.

დანაშაულის შეფასებისას სასამართლო მსხვერპლსა და მოძალადეზე დაზიანებების რაოდენობას დაეყრდნო და კალკულაციით დაადგინა, რომ მსხვერპლა თავდაცვის მდგომარეობაში მოძალადეს რამდენიმე დაზიანება მიაყენა, რაც, სასამართლოს ანგარიშით, რიცხობრივად აჭარბებს მსხვერპლის მიერ მიღებულ დაზიანებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში დაზიანებების მოცულობა და ხასიათი შესაძლოა გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევდეს აღნიშნული დაპირისპირების დინამიკაზე, ამ ფაქტორის, როგორც მთავარი კრიტერიუმის გამოყენება პირის ბრალეულობის განსაზღვრისას პრობლემურია. ძალადობის შემთხვევებში დაზიანებების არსებობა ან არარსებობა, ასევე მათი სიმძიმე ან მოცულობა, აპრიორი ვერ იქნება იმის განმსაზღვრელი, თუ ვინ იყო ძალადობის ინიციატორი. ძალადობის შედეგად დაზიანებების მიღებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს სხვადასხვა ფაქტორებმა, როგორებიც არის ფიზიკურ ძალთა სხვაობა, თავდაცვითი მოქმედებები, ძალადობის დინამიკა, სხვადასხვა საგნების გამოყენება. დაზიანებების მოცულობისა და სიმძიმის არსებით ელემენტად დანახვამ შესაძლოა პასუხისმგებლობის არასწორად განსაზღვრა გამოიწვიოს, რადგან ის არ ითვალისწინებს იმ კომპლექსურ გარემოებებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, ძალადობის შემთხვევებისთვის არის დამახასიათებელი.[17]

საყურადღებოა სააპელაციო პალატის კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც მან თ.შ-ის მხრიდან თეა გოდოლაძის მიმართ ძალადობის განზრახვის გამოსარიცხად გამოიყენა. სასამართლოს დასკვნით, იმ ფაქტს, რომ თ.შ-ს ნამდვილად არ ჰქონია თეა გოდოლაძეზე ფიზიკური ძალადობის განხორციელების განზრახვა, ადასტურებს ისიც, რომ თეა გოდოლაძის შევიდა იმ ოთახში, რომელშიც თ.შ უკვე იმყოფებოდა და, რომელიც, შემდგომ დანაშაულის ადგილი გახდა.

სასამართლოს მიერ შემოთავაზებული ეს მსჯელობა ასევე პრობლემურია, რადგან მას თ.შ-ის განზრახვის დასადგენად ფოკუსი ფიზიკურ ძალადობამდე მსხვერპლის ქცევაზე გადააქვს და უგულებელყოფს სხვა უფრო მნიშვნელოვან ფაქტორებს. ცხადია, მსხვერპლის ოთახში შესვლის ფაქტს არსებითი გავლენა ვერ ექნებოდა თ.შ-ის განზრახვაზე, რომელიც იმისგან

[17] Lindhorst T, Tajima E. Reconceptualizing and Operationalizing Context in Survey Research on Intimate Partner Violence, J Interpers Violence, March 2008; 23(3):362-88.

დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს, თუ როგორ შევიდა თეა გოდოლაძე მის ოთახში. განზრახვა ყოველთვის მნიშვნელოვნად არ უსწრებს წინ უშუალო ძალადობას და, ხშირად, მყისიერია.

ამგვარად, სასამართლოს არგუმენტაცია, რომლითაც თ.შ-ის ფიზიკური ძალადობის განზრახვა გამოირიცხა იმიტომ, რომ მას გარკვეული პერიოდით ადრე არ განუხორციელებია შესაბამისი ქმედებები, სუსტი და გენდერულად არასენსიტიურია. საუბარია ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე და არა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიაზე, რომელსაც სპეციალური მომზადება სჭირდება და აღნიშნული, როგორც წესი, ცალკე დასჯადი ქმედებაა. ხოლო სტერეოტიპების გავლენით ფოკუსის მსხვერპლის ქცევაზე გადატანა თავისთავად უგულებელყოფს სხვა უფრო მნიშვნელოვან გარემოებებს. მსგავსი არგუმენტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროცესის სანდოობას და გადაწყვეტილების სამართლიანობას.